პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) მთავარი ორგანოა, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მაღალი საბჭოს საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOB DEPUTATOB TRUDJASHCHIXSA GRUZINSKOI SSR

შაბათი, 27 იანვარი, 1945 წ. № 19 (7284). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარების სარდალს
არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის
ფრონტის შტაბის უფროსს
გენერალ-პოლკოვნიკ კოკოროვსკის

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა დღეს, 26 იანვარს, ბრძოლით დაიკავეს აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქები ტაპიაუ, ალენბურგი, ნორდენბურგი და ლეტცენი—მძლავრი დასაყრდენი პუნქტები გერმანელთა ხანგრძლივი თავდაცვითი ზოლისა, რომელიც იფარავს აღმოსავლეთ პრუსიის ცენტრალურ რაიონებს.

დასახელებული ქალაქების დაკავებისას ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ლიუდნიკოვის, გენერალ-ლეიტენანტ შაფრანოვის, გენერალ-მაიორ სიმონოვსკის, გენერალ-მაიორ ზაჩეპილინის, გენერალ-მაიორ ვეიკინის, გენერალ-მაიორ ოლეშევის, გენერალ-ლეიტენანტ გეზუბლის, გენერალ-მაიორ კლეშენინის, გენერალ-ლეიტენანტ ზასადოვსკის, გენერალ-ლეიტენანტ კოშევოის, გენერალ-მაიორ პეტკევიჩის, გენერალ-მაიორ ბრუშანიანის, გენერალ-მაიორ კუშნარენკოს, პოლკოვნიკ ზარეცკის, გენერალ-მაიორ კაპინოვის, პოლკოვნიკ რუბანოვის, პოლკოვნიკ ლევინის, პოლკოვნიკ სიბაროვის, გენერალ-მაიორ პეტერსის, გენერალ-მაიორ პროსნინის, პოლკოვნიკ ცუკანოვის, გენერალ-მაიორ დენისოვის, გენერალ-მაიორ სავოსტიანოვის, პოლკოვნიკ პოლუბინოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ დერეშის, პოლკოვნიკ ჩერკასოვის, პოლკოვნიკ მარგულისის, პოლპოლკოვნიკ ივანოვის, პოლპოლკოვნიკ კოვალჩუკის, მაიორ ტროფიმოვის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბუტკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბუზლეინის, პოლკოვნიკ ცინჩენკოს, პოლკოვნიკ ტინჩენკოს, პოლპოლკოვნიკ შუკოვის, პოლპოლკოვნიკ კუკინის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-მაიორ ზასპაროვის, ავიაციის გენერალ-მაიორ მოლოკოვის, პოლკოვნიკ შინკარენკოს, პოლკოვნიკ ანდრეევის, პოლპოლკოვნიკ ზაკლეპაპს მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ბესედოვსკის, პოლკოვნიკ პარხომენკოს, პოლკოვნიკ ზაიცევის, პოლკოვნიკ ვორონცოვის, პოლკოვნიკ შილოს მესაჭრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ სოროკინის, პოლპოლკოვნიკ ბელიშევის, პოლპოლკოვნიკ ბარკოვის, პოლპოლკოვნიკ გორდიენკოს მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც უფლაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების ტაპიაუს, ალენბურგის, ნორდენბურგისა და ლეტცენის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 იანვარს, 20 სალუტი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სროშობლოს სახელით ორას ოცდათხუთი ქვეშეხის ოცი საარტილერიო ზალით სალუტს ანძლევს ბელორუსიის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებიც დაიკავეს დასახელებული ქალაქები.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ პრუსიის დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება მგრძეს, რომლებიც დაიცვნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 26 იანვარი.
№ 255.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს
საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის
ფრონტის შტაბის უფროსს
გენერალ-ლეიტენანტ ბოგოლიუბოვს

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც სწრაფ შეტევას განაგრძობენ, 26 იანვარს, 20 სალუტის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ქალაქ ალმოსავლეთ პრუსიის ქალაქებისა—მიულაუზენი, მარიენბურგი და შტუმი—გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები, გაიკრნენ დანციგის ყურის სანაპიროსაკენ, დაიკავეს ქალაქი ტოლკეიტი და ამით გერმანელთა აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფება მოსწყვიტეს გერმანიის ცენტრალურ რაიონებს.

დანციგის ყურის სანაპიროსკენ გაჭრისას და დასახელებული ქალაქების დაკავებისას ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ბუსლეინის, გენერალ-პოლკოვნიკ შედიუნინსკის, გენერალ-ლეიტენანტ ბლეგოვის, გენერალ-ლეიტენანტ კოკორევის, გენერალ-ლეიტენანტ კოლგანოვის, გენერალ-მაიორ შეტინოვის, გენერალ-ლეიტენანტ კოლნეოვის, პოლკოვნიკ კეტკევიჩის, პოლკოვნიკ ციპლიონკოვის, გენერალ-მაიორ კაზაკევიჩის, პოლკოვნიკ ჩისნოკოვის, გენერალ-მაიორ კოლჩანოვის, გენერალ-მაიორ რადიგინის, გენერალ-მაიორ ბორზუხევის ჯარებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ვოლსკის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ სახნოს, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ მალახოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კისელიოვის, პოლკოვნიკ მიხაილოვის, პოლკოვნიკ ლოგვაკოს, პოლკოვნიკ ბირენდეკოს, პოლკოვნიკ გორგენკოს, პოლკოვნიკ იურევიჩის, მაიორ დოგინის ტანკისტებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ კაზაკოვის, პოლკოვნიკ კრივოშეევეკოს, პოლკოვნიკ ვორონინის, პოლკოვნიკ ბნილინის არტილერისტებმა; პოლკოვნიკ ცვანგეზრის, პოლპოლკოვნიკ ბაბაევის მესაჭრეებმა; პოლკოვნიკ ბახილინის, მაიორ ლიტოვჩენკოს, პოლპოლკოვნიკ კოვეზუნის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც უფლაზე მეტად გამოიჩინეს თავი ბრძოლებში დანციგის ყურის სანაპიროსაკენ გაჭრისას და ქალაქების მიულაუზენის, მარიენბურგის, შტუმისა და ტოლკეიტის დაკავებისას, წარდგენილ იქნან „მარიენბურგის" სახელწოდების მინიჭებულად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 იანვარს, 22 სალუტი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდათხუთი ქვეშეხის ოცი საარტილერიო ზალით სალუტს ანძლევს ბელორუსიის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებიც გაიკრნენ დანციგის ყურის სანაპიროსკენ და დაიკავეს დასახელებული ქალაქები.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში დანციგის ყურის სანაპიროსკენ გაჭრისას და მარიენბურგისა და აღმოსავლეთ პრუსიის სხვა დასახელებული ქალაქების დაკავებისას.

სამარადისო დიდება მგრძეს, რომლებიც დაიცვნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 26 იანვარი.
№ 256.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების სარდალს
საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს
ფრონტის შტაბის უფროსს
არმიის გენერალ სოკოლოვსკის

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა დღეს, 26 იანვარს, იერიშით დაიკავეს გერმანული სოფლების სამრეწველო რაიონის დიდი ცენტრი ქალაქი ჰინდენბურგი—კოფლიკაცების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი.

ქალაქ ჰინდენბურგის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ბუსლეევის, გენერალ-ლეიტენანტ ანისიმოვის, გენერალ-ლეიტენანტ ბუსოვეცის, გენერალ-მაიორ ნაუმოვის, გენერალ-ლეიტენანტ ნოვოსელსკის, გენერალ-მაიორ ტრუბაჩოვის, გენერალ-მაიორ ფომლეთის, გენერალ-მაიორ ზაიონჩკოვსკის, პოლკოვნიკ კუზნეცოვის, პოლკოვნიკ პესარინის, პოლკოვნიკ დოლგოვის ჯარებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კუზნეცოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ სუხოვის, პოლკოვნიკ შაინერის, პოლკოვნიკ გლადნევის, პოლკოვნიკ ტიმოფეევის, პოლკოვნიკ ტრავკინის, პოდპოლკოვნიკ გოლოუხოვის, პოდპოლკოვნიკ ტიკაპარის, პოდპოლკოვნიკ როსეკტაევის, პოდპოლკოვნიკ ჩეზჩუკის, პოდპოლკოვნიკ ჩორანიხის, პოდპოლკოვნიკ ბარილოვის, პოდპოლკოვნიკ საინკის, პოდპოლკოვნიკ მელნიკოვის, მაიორ ოლეინიკოვის ტანკისტებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ მიხალინის, არტილერიის გენერალ-მაიორ კოლესნიკოვის, პოლკოვნიკ ბაღდასარიანის, პოლკოვნიკ დეგტიარის, პოლკოვნიკ ჩეკოლას, პოლკოვნიკ ბოგრდეევის, პოდპოლკოვნიკ უზგინუშკინის არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ კრასოვსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ პროსნინის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ რიაზანოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ პოლბინის, ავიაციის გენერალ-მაიორ არხანგელსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ ბარანჩუკის, პოლკოვნიკ მაჩინის, პოდპოლკოვნიკ შუნდრიკოვის, პოლკოვნიკ ოუზეევის, პოლკოვნიკ ბისტროვის მფრინავებმა; პოლკოვნიკ ბოგომაზევის, პოლკოვნიკ კოტლიუკოვის, პოლკოვნიკ შუბინის მესაჭრეებმა; პოლკოვნიკ შელაკოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ჰინდენბურგის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 იანვარს, 23 სალუტი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდათხუთი ქვეშეხის ოცი საარტილერიო ზალით სალუტს ანძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ჰინდენბურგი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ ჰინდენბურგის დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება მგრძეს, რომლებიც დაიცვნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 26 იანვარი.
№ 257.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ქალაქ ლენინგრადის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს წინაშე ლენინგრადის მშრომელთა თვალსაჩინო დამსახურებისათვის, მტრის ბლოკადის ძნელ პირობებში ქალაქის დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის, დისციპლინისა და სიმტკიცის გამოჩენისათვის ქალაქი ლენინგრადი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლუბევი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 26 იანვარი.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სასურსათო დახმარება ქალაქ ვრშავის მოსახლეობას
საბჭოთა რესაუბლიკები 60 ათას ტონა კუბს უგზავნიან ვარშავის მოსახლეობასა

საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულით მეხვდა გმირი წითელი არმიის მიერ პოლონეთის ჯარის მონაწილეობით ჩვენი მოკავშირე დემოკრატიული პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის განთავისუფლების ცნობას.

გერმანელმა ფაშისტმა ბარბაროსებმა აურაცხელი უბედურება მოუტანეს პოლონელ ხალხს, გაძარცვეს მიღიონობით პოლონელი, გაძარცვეს და დაანგრიეს პოლონეთის დედაქალაქი. წითელი არმიან გაათავისუფლა მეგობრული პოლონეთის რესპუბლიკა ტერიტორიის მეტი ნაწილი და იხსნა პოლონელი ხალხი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სისხლიანი უღლისაგან.

პოლონელ ხალხთან მეგობრობის ნიშნად, განთავისუფლებული ვარშავის მოსახლეობისათვის დაუყოვნებლივი სასოწარკვეთა დახმარების გაწევის მიზნით, საბჭოთა რესპუბლიკები ქალაქ ვარშავაში თავიანთი რესპუბლიკებიდან გზავნიან 60 ათას ტონა პურს; ამ რაოდენობიდან უკრაინის სს რესპუბლიკამ გამოყო 15 ათასი ტონა პური, ბელორუსიის სს რესპუბლიკამ—10 ათასი ტონა, ლიტვის სს რესპუბლიკამ—5 ათასი ტონა და რსფსრ რესპუბლიკამ—30 ათასი ტონა პური. მთელი ეს პური ვარშავის მოსახლეობას ეგზავნება უსასყიდლოდ. (საკვლი).

ერთი მილიონი ფუთი კარი წითელ არმიის ფონდში

როსტოვის ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც შეიარაღებულ პურის ჩაბარების გეგმა, განსაკუთრებულ მარცვლეულის ჩაბარების წითელი არმიის ფონდში, ცალინის რაიონის კოლმეურნეებმა უკვე ჩაბარეს გეგმის ვადამეტებით 146 ათასი ფუთი პური. ჩვენი ქვეყნის ფიდიდესმა მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობამ „ზიმგანეტმა" 280 ათასი ფუთი მარცვლეული ჩაბარა გეგმის ვადამეტებით.

სუფ დონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე შეატანეს წითელი არმიის ფონდში ერთი მილიონ ფუთი პური. (საკვლი).

ამხანაგ სტალინის წიგნი—„საბჭოთა კავშირის დიდი სამამული ომის შესახებ"—მეოთხე გამოცემა ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამული ომის შესახებ" (მეოთხე გამოცემა).

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარების სარდალს
არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის
ფრონტის შტაბის უფროსს
გენერალ-პოლკოვნიკ კოკოროვსკის

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა დღეს, 26 იანვარს, ბრძოლით დაიკავეს აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქები ტაპიაუ, ალენბურგი, ნორდენბურგი და ლეტცენი—მძლავრი დასაყრდენი პუნქტები გერმანელთა ხანგრძლივი თავდაცვითი ზოლისა, რომელიც იფარავს აღმოსავლეთ პრუსიის ცენტრალურ რაიონებს.

დასახელებული ქალაქების დაკავებისას ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ლიუდნიკოვის, გენერალ-ლეიტენანტ შაფრანოვის, გენერალ-მაიორ სიმონოვსკის, გენერალ-მაიორ ზაჩეპილინის, გენერალ-მაიორ ვეიკინის, გენერალ-მაიორ ოლეშევის, გენერალ-ლეიტენანტ გეზუბლის, გენერალ-მაიორ კლეშენინის, გენერალ-ლეიტენანტ ზასადოვსკის, გენერალ-ლეიტენანტ კოშევოის, გენერალ-მაიორ პეტკევიჩის, გენერალ-მაიორ ბრუშანიანის, გენერალ-მაიორ კუშნარენკოს, პოლკოვნიკ ზარეცკის, გენერალ-მაიორ კაპინოვის, პოლკოვნიკ რუბანოვის, პოლკოვნიკ ლევინის, პოლკოვნიკ სიბაროვის, გენერალ-მაიორ პეტერსის, გენერალ-მაიორ პროსნინის, პოლკოვნიკ ცუკანოვის, გენერალ-მაიორ დენისოვის, გენერალ-მაიორ სავოსტიანოვის, პოლკოვნიკ პოლუბინოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ დერეშის, პოლკოვნიკ ჩერკასოვის, პოლკოვნიკ მარგულისის, პოლპოლკოვნიკ ივანოვის, პოლპოლკოვნიკ კოვალჩუკის, მაიორ ტრუფიმოვის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბუტკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბუზლეინის, პოლკოვნიკ ცინჩენკოს, პოლკოვნიკ ტინჩენკოს, პოლპოლკოვნიკ შუკოვის, პოლპოლკოვნიკ კუკინის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-მაიორ ზასპაროვის, ავიაციის გენერალ-მაიორ მოლოკოვის, პოლკოვნიკ შინკარენკოს, პოლკოვნიკ ანდრეევის, პოლპოლკოვნიკ ზაკლეპაპს მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ბესედოვსკის, პოლკოვნიკ პარხომენკოს, პოლკოვნიკ ზაიცევის, პოლკოვნიკ ვორონცოვის, პოლკოვნიკ შილოს მესაჭრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ სოროკინის, პოლპოლკოვნიკ ბელიშევის, პოლპოლკოვნიკ ბარკოვის, პოლპოლკოვნიკ გორდიენკოს მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ბრძოლებში დანციგის ყურის სანაპიროსაკენ გაჭრისას და ქალაქების მიულაუზენის, მარიენბურგის, შტუმისა და ტოლკეიტის დაკავებისას, წარდგენილ იქნან „მარიენბურგის" სახელწოდების მინიჭებულად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 იანვარს, 22 სალუტი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდათხუთი ქვეშეხის ოცი საარტილერიო ზალით სალუტს ანძლევს ბელორუსიის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებიც გაიკრნენ დანციგის ყურის სანაპიროსკენ და დაიკავეს დასახელებული ქალაქები.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში დანციგის ყურის სანაპიროსკენ გაჭრისას და მარიენბურგისა და აღმოსავლეთ პრუსიის სხვა დასახელებული ქალაქების დაკავებისას.

სამარადისო დიდება მგრძეს, რომლებიც დაიცვნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 26 იანვარი.
№ 255.

მოწინააღმდეგის ზარალი და ბელორუსიის მე-3, მე-2, 1-ლი, უკრაინის 1-ლი და მე-4 ფრონტების ჯარების ნადავლი 1945 წლის 12-დან 24 იანვრამდე წარმოებული შეტევითი ბრძოლების განმავლობაში

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა, არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის სარდლობით, 14-დან 24 იანვრამდე წარმოებული შეტევითი ბრძოლების განმავლობაში შემდეგი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს: ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ:

მოსკო

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

26 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ მე-3 ფრონტის ჯარებმა 26 იანვარს ბრძოლით დაიკავეს აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქები — ᲢᲐᲞᲘᲐᲣ, ᲐᲚᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘ, ᲜᲝᲠᲓᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘ და ᲚᲔᲢᲪᲔᲜᲘ, მძლავრი დასაყრდენი პუნქტები გერმანელთა ხანგრძლივი თავდაცვითი ზოლისა, რომელიც იფარავს აღმოსავლეთ პრუსიის ცენტრალურ რაიონებს, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 250-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ᲚᲐᲑᲚᲐᲙᲔᲜᲘ, ᲑᲠᲝᲡ ᲓᲠᲝᲝᲖᲓᲔᲜᲘ, ᲑᲝᲢᲔᲜᲔᲜᲘ, ᲑᲠᲐᲡᲓᲝᲠᲤᲘ, ᲚᲔᲕᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ, ᲣᲓᲔᲠᲕᲐᲜᲒᲔᲜᲘ, ᲤᲠᲘᲨᲘᲜᲒᲘ, ᲑᲠᲝᲡ ᲖᲝᲑᲠᲝᲡᲢᲘ და რკინიგზის სადგურები ᲞᲠᲝᲜᲘᲢᲔᲜᲘ, ᲕᲘᲚᲙᲘᲣᲜᲔᲜᲘ, ᲒᲔᲝᲠᲒᲔᲜᲤᲔᲚᲓᲔ.

ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც სწრაფ შეტევას განაგრძობენ, 26 იანვარს დაიკავეს აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქები — ᲛᲘᲣᲚᲰᲐᲣᲖᲔᲜᲘ, ᲛᲐᲠᲘᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘ და ᲨᲢᲣᲛᲘ — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები, გაიჭრნენ დანციგის ყურის სანაპიროსაკენ, დაიკავეს ქალაქი ᲢᲝᲚᲙᲔᲛᲘᲢᲘ და ამით გერმანელთა აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფება მოსწყვიტეს გერმანიის ცენტრალურ რაიონებს. ამავე დროს ფრონტის ჯარებმა პოლონეთის ტერიტორიაზე ბრძოლებით დაიკავეს ქალაქები ᲚᲐᲡᲘᲜᲘ, ᲣᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘ, ᲮᲔᲚᲛᲟᲐ (ᲙᲣᲚᲛᲖᲔᲔ) და 400-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ᲑᲠᲣᲢᲐ, ᲠᲔᲓᲔᲜᲘ, ᲐᲘᲖᲔᲚᲐᲣ, ᲑᲠᲝᲡᲝᲕᲝ, ᲨᲐᲠᲜᲖᲔᲔ, ᲠᲔᲜᲢᲨᲙᲐᲣ, ᲠᲝᲖᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘ, ᲕᲐᲚᲓᲐᲣ (4 კილომეტრზე ქალაქ ტორნის ჩრდილო-აღმოსავლეთით).

ᲞᲝᲖᲜᲐᲜᲘᲡ მიმართულებით ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დაიკავეს ქალაქები ᲕᲝᲜᲑᲠᲝᲕᲔᲪᲘ, ᲠᲝᲒᲐᲖᲔᲜᲘ, ᲨᲝᲙᲔᲜᲘ, ᲕᲐᲘᲡᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘ, ᲙᲣᲠᲜᲘᲙᲘ, ᲛᲝᲡᲘᲜᲐ, ᲡᲐᲜᲢᲝᲛᲘᲨᲔᲚᲘ და 400-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

სამ აეროდრომზე და საავიაციო ქარხანაში ქალაქ ᲞᲝᲖᲜᲐᲜᲘᲡ რაიონში ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 292 თვითმფრინავი.

ქალაქ ᲙᲐᲚᲘᲨᲘᲡ სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით დაიკავეს გზატკეცილთა დიდი კვანძი — ქალაქი ᲙᲠᲝᲢᲝᲨᲘᲜᲘ, ქალაქები ᲙᲝᲑᲘᲚᲘᲜᲘ და ᲖᲓᲣᲜᲘ და პოლონეთის ტერიტორიაზე დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ 1-ლი ფრონტის ჯარებმა 26 იანვარს იერიშით დაიკავეს გერმანული სილეზიის სამრეწველო რაიონის დიდი ცენტრი ქალაქი ᲰᲘᲜᲓᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘ — კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი, აგრეთვე გერმანიის ტერიტორიაზე ბრძოლებით დაიკავეს ქალაქები ᲰᲔᲠᲜᲨᲢᲐᲓᲢᲘ, ᲕᲘᲜᲪᲘᲒᲘ, ᲨᲢᲠᲝᲞᲔᲜᲘ, ᲞᲠᲐᲣᲡᲜᲘᲢᲪᲘ, ᲢᲠᲔᲑᲜᲘᲢᲪᲘ, ᲘᲣᲚᲘᲣᲡᲑᲣᲠᲒᲘ და 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

აეროდრომებზე ქალაქ ᲔᲚᲡᲘᲡ რაიონში ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 150 თვითმფრინავი.

ქალაქ ᲙᲝᲨᲘᲪᲔᲡ ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, შეტევითი ბრძოლების შედეგად, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქები ᲡᲞᲘᲨᲡᲙᲔ ᲞᲝᲓᲒᲠᲐᲓᲘᲔ და ᲡᲞᲘᲨᲡᲙᲔ ᲕᲚᲐᲮᲘ, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები ᲚᲔᲮᲜᲘᲪᲐ, ᲚᲘᲮᲕᲐᲚᲓᲘ, ᲢᲝᲞᲝᲠᲔᲪᲘ, ᲑᲚᲐᲟᲝᲕᲘ, ᲒᲝᲠᲘᲡᲙᲘᲜᲘ, ᲛᲐᲠᲙᲣᲨᲝᲕᲪᲔ, ᲕᲝᲜᲓᲠᲘᲨᲔᲚᲘ, ᲕᲚᲐᲮᲝᲕᲝ.

ბუდაპეშტში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს ქალაქის დასავლეთ ნაწილში (ბუდა) გარშემორტყმული მოწინააღმდეგის ნაწილების მოსასპობად და დაიკავეს 25 უბანი.

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘᲡ სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს იგერიებდნენ და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

25 იანვარს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 97 ტანკი, აქედან 47 ტანკი ბუდაპეშტის სამხრეთ-დასავლეთით. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 15 თვითმფრინავი.

* * *

...კავშირებს, და მთელი თავიანთი რეზერვები ბრძოლაში გამოიყვანეს. გერმანელთა ჯარების დიდი ძალები განუწყვეტლივ გადმოდიოდნენ კონტრიერიშზე. საბჭოთა სატანკო შენაერთებმა და ქვეითმა ჯარმა დასძლიეს მტრის გააფთრებული წინააღმდეგობა, დაიკავეს ქალაქი მიულჰაუზენი, წინ გაემართნენ და გაიჭრნენ დანციგის ყურის სანაპიროსაკენ. ამით აღმოსავლეთ პრუსიაში მოქმედს გერმანელთა ჯარების დიდ დაჯგუფებას გადაჭრილი აქვს ხმე-...

...ქალაქ სპიშსკე პოდგრადიე—მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებულ დასაყრდენ პუნქტს კარპატის მთებში. გერმანელები ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ შეენარჩუნებინათ ქალაქი. ჩვენმა მებრძოლებმა მტრის წინააღმდეგობა გასტეხეს და დაიკავეს ქალაქი სპიშსკე პოდგრადიე. ხელთ ვიგდეთ 10 ქვემეხი, 27 ტყვიამფრქვევი, 100 ვაგონი ტვირთიანად და 6 საწყობი სამხარ მასალიანად. ტყვედ წამოყვანილია 400 გერმანელი.

ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ

Გ. ᲑᲐᲓᲐᲔᲕᲘ

საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი

1944 წლის 27 იანვარს წვეის ნაპირებზე იგრიალა 324 ქვემეხის ზალპმა. ზალპმა გვამცნო დიდი სამამულო ომის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელოვანი გამარჯვება. 12 დღის დაძაბული ბრძოლების შედეგად ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა შემუსრეს მტრის ყბადაღებული „ფოლადის რკალი" ლენინგრადის გარშემო და გერმანელ ფაშისტთა ბანდები მრავალ კილომეტრზე უკუაგდეს დიდი ქალაქის კედლებიდან. გადაჭრილ იქნა ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — ლენინგრადის სრული განთავისუფლება მტრის ბლოკადისა და მოწინააღმდეგის მიერ არტილერიის ბარბაროსულად დაშენისაგან.

ქალაქის დამცველებმა ჩაშალეს მოწინააღმდეგის ყოველგვარი ცდა იერიშით შემოჭრილიყო ლენინგრადის დიდებულ პროსპექტებსა და მოედნებზე. მტრის მიერ დაბომბვამ და არტილერიის მეთოდურად დაშენამ, შიმშილმა და სიცივემ ვერ გასტეხეს ლენინგრადელების ნებისყოფა ბრძოლისა და გამარჯვებისა.

თავიანთი ბოლშევიკური დარაზმულობით მტკიცე, მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღებით გარემოსილ ლენინგრადელებს ალყაშემორტყმულ ქალაქში ერთი წუთითაც კი არ შეუწყვეტიათ მუშაობა ფრონტისათვის, ისინი...

ლენინგრადის საფეიქრო მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც დიდი მეცადინეობის ფასად მოახერხეს თავიანთი მოწყობილობის დაცვა, უკვე გასულ წელს გეგმის გადაჭარბებით მოგვცეს მილიონობით მეტრი ქსოვილი.

ლენინგრადიდან კვლავ, როგორც ომამდე, იგზავნება გენერატორები, ტურბინები, ქვაბები, პაერსაბერვლები, მანქანები საფეიქრო, სატრიკოტაჟო, ფეხსაცმლის მრეწველობისათვის, რთული დაზგები, უზუსტესი ხელსაწყოები. ლენინგრადის მრეწველობა კვლავ მუშაობს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის.

გმაყოფილებით აჯამებენ ლენინგრადელები ქალაქის მეურნეობის აღორძინების დარგში თავიანთი შრომის პირველ შედეგებს. ქალაქის გარეგან სახესაც კი ემჩნევა მკვეთრი ცვლილებანი. დაშლილია ბარიკადები, ქუჩებს რომ ღობავდნენ, ლიკვიდირებულია ქვითკირის შენობებში შექმნილი საცეცხლე წერტილები, გაწმენდილი და გახსნილია პარკები და ბაღები. დანგრეულ შენობათა ადგილზე გაშენებულია ათობით ახალი სკვერი, რომლებშიც დარგულია 280 ათასი ძირი ხე და ბუჩქი. ათობით ქუჩა დაიფარა ახალი ასფალტით. ქალაქში შეკეთებული და ხელახლად გაკეთებულია 422 ათასი კვადრატული მეტრი...

...ჩის ბაზაზე. ქარხანა, რომელიც გერმანელებს დაშორებული იყო ტრამვაის მხოლოდ შვიდი შეჩერებით, მთელი ბლოკადის განმავლობაში საჭურველს უშვებდა. ახლა იგი დღითი-დღე იკრებს ახალ ძალებს.

და ასეა ლენინგრადის ბევრ საწარმოში. უკვე აღდგენილია „ბოლშევიკის", სტალინის სახელობის, ლენინის სახელობისა და სხვა ქარხნების საამქროთა უმეტესობა.

ამ კეთილშობილური ამოცანის გადაჭრაში ლენინგრადელებს აღაფრთოვანებენ ჩვენი წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებანი, მთელი საბჭოთა ქვეყნისა და ამხანაგ სტალინის სიყვარულით გამსჭვალული მზრუნველობა ჩვენი ქალაქისათვის. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ლენინგრადელები აღორძინებენ თავის საყვარელ ქალაქს მთელი მისი მშვენებითა და სიდიადით.

მოქმედი არმია. ამასწინანდელ ბრძოლებში ბატარეამ, რომელსაც მეთაურობს წითელი დროშის, სამამულო ომის მე-2 ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენების კავალერი უფროსი ლეიტენანტი გარიფ ხარისოვი, 2 ტანკი, 7 ქვემეხი მოსპო და 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა. სურათზე ბატარეა ღამით აწარმოებს სროლას. ფოტო პ. ბერნშტეინისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 26 იანვარი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ ჰოლანდიაში მოკავშირეთა ჯარებმა მოსპეს მოწინააღმდეგის რაზმი, რომელიც გადავიდა მდინარე მაასს ბოკსმეერის ახლოს, ნიიმეგენის სამხრეთით. მოკავშირეთა ჯარების მიერ დაკავებულია ლინე, მონფორის ჩრდილოეთით. გაიმსბერგში (გერმანია) დამთავრებულია მტრის წინააღმდეგობის კერების ... ტერმალი. სამხრეთ-აღმოსავლეთით, მიუხედავად მტრის გააფთრებული წინააღმდეგობისა, აღებულია ვილვერდინგენი. გარდა ამისა, დაკავებულია ქალაქი ბრეიტფელდი. ლუქსემბურგში მოკავშირეთა ჯარებმა გადალახეს მდინარე კლერფი. კლერვოს ჩრდილოეთით დაკავებულია უპერდინგენი. სამ მილზე ვილცის აღმოსავლეთით გაწმენდილია ალსმაიდი, ოთხ მილზე ვიანდენის დასავლეთით დაკავებულია ჰოსშაიდი. ვაძერბილიგში, სადაც ერთმანეთს ერთვიან მდინარეები საუერი და მოზელი, ქუჩებში ბრძოლები სწარმოებს.

არდენის შვერილის რაიონში ავიაციამ მოსპო მტრის 679 მანქანა, რამდენიმე საარტილერიო ბატარეა და 52 ტანკი. ბევრი სხვა მანქანა დაზიანებულია.

მოწინააღმდეგის ნაწილებმა შესძლეს წინ ... გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 26 იანვარი. (საკდესი). სამარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში საომარი ოპერაციები ფრონტზე მზვერავთა მოქმედებით განისაზღვრებოდა.

ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲑᲝᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 26 იანვარი. (საკდესი). ჰიტლერული პროვინციული პრესა განგაშს სტეხს ტრანსპორტზე სიძნელეთა გამწვავებისა და სათბობის ნაკლებობასთან დაკავშირებით. გერმანიის გზათა მინისტრმა ამას წინათ გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც გერმანიის მთელი ავტოტრანსპორტი, რომელიც კერძო მფლობელობაში იმყოფება, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ „სამხედრო და უკიდურესად აუცილებელი ტვირთების" გადასაზიდად. ეს განკარგულება ვრცელდება ყველა ტიპის მანქანაზე, მათ შორის მოტოციკლებზეც. მგზავრთა გადაყვანა ავტოტრანსპორტით ნებადართულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამ დადგენილების დამრღვევნი სასტიკად იქნებიან დასჯილნი. ჰიტლერელი გზათა მინისტრისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ერთობლივ განკარგულებაში ლაპარაკია მთელი გამწევი ძალის დაუყოვნებლივ მობილიზაციაზე „სამხედრო მხრივ დიდმნიშვნელოვანი ტვირთზიდვისათვის".

ამ დღეებში ჰიტლერელმა ხელისუფლებმა გამოაქვეყნეს განკარგულება, რომლის თანახმადაც მოსახლეობის მომარაგება ნახშირით კვლავ შემცირებულია 70 პროცენტით. გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის" ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 23 იანვრიდან ბერლინში შესწყდა გაზის მიწოდება სახლების უდიდეს უმრავლესობაში.

ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲔᲕᲐᲙᲣᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 26 იანვარი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს შვეციაში არსებულ დანიის პრესბიუროს ცნობას იმის შესახებ, რომ დაიწყო მზადება ბერლინის ევაკუაციისათვის. ყველა უცხოელი კორესპონდენტი გერმანიის დედაქალაქში გაფრთხილებულია, რომ ისინი მზად უნდა იყონ დასტოვონ ბერლინი ყოველ მომენტში. ცნობაში ნათქვამია, რომ სწარმოებს გერმანიის მთავრობისა და სამოქალაქო ადმინისტრაციის ევაკუაცია ბერლინიდან. იქიდან გააქვთ არქივები და სხვადასხვა ფასეულობანი.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲔᲘᲛᲨᲘ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, 25 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ვაპაა სანა" იუწყება, ექვსთა ჯგუფმა შემდეგი შეკითხვა შეიტანა ფინეთის სეიმში: „აპირებს თუ არა მთავრობა იხმაროს ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს გამორკვეს საკითხი: დამნაშავე არიან თუ არა პრეზიდენტი, რომელსაც ეს პოსტი ეკავა 1941 წელს, მთავრობის წევრები და, შესაძლოა, სხვა პირნი, რომელთაც 1939 და 1941 წლებში სახელმწიფოში პასუხსაგები პოსტები ეკავათ, იმაში, რომ ამ წლებში ომი ატყდა, იმ მიზნით, რომ ის პირნი, ვისი დამნაშავეობაც გამოირკვევა, მიცემულ იქნან პასუხისგებაში?".

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

სახელმწიფო ოპერა — 27/I — „დაისი", 28/I — დღისით — „ბაღჩისარაის შადრევანი", საღამოს — „პატარა კახი". **რუსთაველის სახელობის** — 27/I — „უდანაშაულოდ დამნაშავენი", 28/I — დღისით — „უდანაშაულოდ დამნაშავენი", საღამოს — „ზოგჯერ ბრძენიც შესცდება". **მარჯანიშვილის სახელობის** — 27/I — „უმზითვო", 28/I — დღისით — „ქამთაბერის ასული", საღამოს — „რაც გინახავს, ველარ ნახავ". **გრიბოედოვის სახელობის** — 27/I — „კრეჩინსკის ქორწინება", 28/I — დღისით და საღამოს — „კრეჩინსკის ქორწინება".

ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ: რუსთაველის სახელობის — „ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება". **ოქტომბერი** — „მასკარადი". **დამკვრელი** — „ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება". **კომკავშირელი** — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან". **სპარტაკი** — „მივლებული ბავშვი". **ლუქსემბურგის სახელობის** — „საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ". **26 კომისრის სახელობის** — „მალახოვ კურგანი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
Ბ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მშობლები ეკატერინე, ონისიმე, ძმა მირიან, მამიდები სონა, თამარ იუწყებიან, რომ 28/I, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დაწიშნულია **ნუნუ გეგელიშვილის** - პანაშვიდი.

გიორგი აბულაძე ცოლ-შვილით, დებით, სიძეებით, დისწულებით იუწყება დისწულის **ნიკოლოზ ძოძუაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28/I, 2 ს. კომბაინის 46 (საბურთალო).

...

ბალავაძე, იმნაიშვილი, ჟვანია, ხარჩილავა, ლელიძე, ფარულავა, ხელაშვილი, მეგრელიშვილი, შელია, ლებანიძე, გაბილაია, მეფარიშვილი, ნემსაძე, ფალავანდიშვილი, ბახანოვა იუწყებიან მედეა და დავით მჭედლიშვილის დედისა და სიდედრის **ქეთევან მიხეილის ასულ თევდორაძის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის თანამშრომლები ...

...

ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲔᲜ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). ტყიბულის შახტებში გულდასმით ეცნობიან ტყვარჩელელებთან სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის შედეგებს, რაც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტის" 19 იანვრის ნომერში. 21 და 22 იანვარს შახტებში შესდგა მიტინგები.

ლენინის სახელობის შახტის უბნის უფროსმა გ. ფანჩულიძემ და ლ. ვაშაკიძემ მათი უბნების კოლექტივთა სახელით იკისრეს წლიური გეგმის 15 ნოემბრისათვის შესრულება. ი. გაბრიაძის ცვლამ პირობა დასდო წლიური გეგმა შეასრულოს 140 პროცენტით. მედალოსანმა სემიოლოსელმა მნგრეველმა ს. ქათამაძემ იკისრა წელს ორი წლის გეგმის შესრულება. ლენინის სახელობის შახტმა იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 20 დეკემბრისათვის და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი.

სტალინის სახელობის შახტში მიტინგზე სიტყვით გამოვიდა შ. ზოთაძე. მან უბნის კოლექტივის სახელით პირობა დასდო, რომ მარტო პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით 1.050 ტონა ქვანახშირს მისცემს ქვეყანას. მ. ციხვაიას უბნის მეშახტეებმა, მიიღეს ზოთაძის უბნის მეშახტეთა გამოწვევა და იკისრეს ყოველდღიურად 30-მდე ტონა ქვანახშირი მისცენ სამშობლოს გეგმის გადამეტებით. ი. იაკობმა (ცვლის უფროსი) იკისრა სამ თვეში გეგმის გადამეტებით, 600 ტონა ქვანახშირი ამოიღოს.

ტყიბულელები საქმით ამაგრებენ ნაკისრ ვალდებულებას. სტალინის სახელობის შახტში ახლა გეგმის გადამეტებით ასამდე ტონა ქვანახშირს იღებენ ყოველდღე. შახტის ყველა უბანი ასრულებს გეგმას. მთლიანად ტრესტმა 20 იანვარს ქვანახშირის ამოღების გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულა, 21 იანვარს — 105,6 პროცენტით, 22 იანვარს — 105,1 პროცენტით.

Დ. ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲪᲘᲘᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ

ლენინგრადში ათ წელზე მეტი ხანია, რაც არსებობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დოკუმენტების რესტავრაციისა და კონსერვაციის ლაბორატორია. მასში აღდგენილია ათობით ისტორიული და მეცნიერული მასალა, ზოგი დაქსაქსული ნაწყვეტების სახით, ზოგი დიდი ხნის განმავლობაში მიწაში ან წყალში ყოფნის შემდეგ.

ამჟამად ახლდება დოკუმენტების რესტავრაციისა და კონსერვაციის ლაბორატორიის საქმიანობა, მის სადგომში სდგამენ აპარატურას, მიკროსკოპებს, რომლებიც ულტრაიისფერი სხივების პირობებში მოქმედებენ, ქაღალდის თვისებათა გამომკვლევ ხელსაწყოებს და სხვა მოწყობილობას. (საკდესი).

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800